პროლეტარეტო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

17 ივნისი ხუთშაბათი 1971 წელი 2 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 138 (15048)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

16 ივნისს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის საბოლოო სხდომა.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ გ. გ. წულაიამ.

ინფორმაცია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგების შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანმა რ. ვ. მეტრეველმა. მან განაცხადა, რომ რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებმა საქართველოში ჩაიარა ამომრჩეველთა დიდი პოლიტიკური აქტივობით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების სრული შესაბამისობით.

საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების კოლექტივების მიერ დასახელებულმა დეპუტატობის კანდიდატებმა მიიღეს ხმების აბსოლუტური უმრავლესობა და არჩეული არიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად.

სხდომაზე აღინიშნა, რომ კარგად იმუშავეს როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, ისე საოლქო საარჩევნო კომისიებმა. მათ დიდ დახმარებას უწევდნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. საარჩევნო კამპანიის დროს შეუფერებლად მუშაობდნენ კავშირგაბმულობის ორგანოები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ა. კვაშაძემ გააკეთა ინფორმაცია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგების გამოქვეყნების წესის შესახებ. (საქდესი).

ᲪᲜᲝᲒᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1971 წლის 13 ივნისის არჩევნების შედეგების შესახებ

პირველს, 1971 წლის 13 ივნისს, გაიმართა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობდა მალალი შრომითი და პოლიტიკური აქტივობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისა და საბჭოთა საქართველოს ნახევარსუკუნოვანი იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის ფართოდ გაშლილი მოძრაობის ვითარებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის შექმნილი იყო 400 საარჩევნო ოლქი. ხმის მიცემა საარჩევნო უბნებში დაიწყო დილის 6 საათზე და დამთავრდა საღამოს 10 საათზე ადგილობრივი დროით.

არჩევნები ჩატარდა ოთხასსავე საარჩევნო ოლქში.

საოლქო საარჩევნო კომისიებმა არჩევნების დებულების სრული შესაბამისობით დათვალეს ხმები, შეაჯამეს არჩევნების შედეგები თვითეული ოლქის მიხედვით და ხმის მიცემის შედეგები წარუდგინეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

საოლქო საარჩევნო კომისიების მონაცემების მიხედვით ამომრჩეველთა სიებში შეტანილი იყო 2.821.739 კაცი, მათგან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2.821.713 კაცმა, ანუ 99,99 პროცენტმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს ხმა მისცა არჩევნების მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვიდან 2.821.523 კაცმა, ანუ 99,99 პროცენტმა. დეპუტატობის კანდიდატების წინააღმდეგ ხმა მისცა არჩევნების მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვიდან 190 კაცმა, ანუ 0,01 პროცენტმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ყველა კანდიდატმა, რომლებიც კენჭს იყრიდნენ 400 საარჩევნო ოლქში, ხმების აბსოლუტური უმრავლესობა მიიღო და „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 93-ე მუხლის შესაბამისად არჩეულია დეპუტატად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა ახალი ძალით ცხადყო საბჭოთა დემოკრატიის გამარჯვება, რესპუბლიკის მშრომელთა მონოლითური ერთიანობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თავის 16 ივნისის სხდომაზე განიხილა საოლქო საარჩევნო კომისიების მასალები არჩევნების შედეგების შესახებ თვითეული საარჩევნო ოლქის მიხედვით და „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 38-ე მუხლის საფუძველზე რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ოთხასსავე საარჩევნო ოლქში არჩეული დეპუტატები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობაში არჩეულია 109 მუშა, ანუ დეპუტატთა 27,3 პროცენტი, 92 კოლმეურნე — ანუ 23,0 პროცენტი, 141 ქალი, ანუ 35,3 პროცენტი, 136 უპარტიო, ანუ 34,0 პროცენტი, 66 დეპუტატი, ანუ 16,5 პროცენტი 30 წლამდე ასაკისაა, ხოლო 263 დეპუტატი, ანუ 65,8 პროცენტი, არ ყოფილა საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ყველა არჩეული დეპუტატი კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის ღირსეული წარმომადგენელია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა სია

ქალაქი თბილისი

კურტანიძე გიორგი ნიკოლოზის-ძე — თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპე, ავჭალის საარჩევნო ოლქი.

მეკავანაძე ვასილ პავლეს-ძე — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, საქარხნო საარჩევნო ოლქი.

ოსტანინა ნადეჟდა დმიტრის ასული — თბილისის ქარხანა „პლასტმასის“ ჩამომსხმელი, კუბიშევის საარჩევნო ოლქი.

ბოგვერაძე გენადი მიხეილის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე, ღრმადელის საარჩევნო ოლქი.

ბუეგულაშვილი ტატიანა ბაგრატის ასული — თბილისის № 7 სამკერვალო თაბრიკის მკერავი, ჟდანოვის საარჩევნო ოლქი.

შეგვარდნაძე იპოკრატე ამბროსის-ძე — საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი, პიონერის საარჩევნო ოლქი.

მიქაძე სანო მიხეილის-ძე — საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი, თბილისის საარჩევნო ოლქი..

მიქელაძე გივი შალვას-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, ლენინის საარჩევნო ოლქი.

ჩადუნელი გურამ შალვას-ძე — თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის ამწყობი ზეინკალთა ბრიგადირი, ლენინის საარჩევნო ოლქი.

გაჩეჩილაძე გივი სერგოს-ძე — თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატი, რკინიგზის საარჩევნო ოლქი.

არათანაშვილი მზია მიხეილის ასული — თბილისის სართავსატრიკოტაჟო კომბინატის მრთველი, ლოტკინის საარჩევნო ოლქი.

კახეთელიძე დალი ალექსანდრეს ასული — თბილისის ქარხანა „ელექტროგამშვების“ ზეინკალი, კომკავშირის საარჩევნო ოლქი.

ბერიძე ნოდარ დავითის-ძე — თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსი, ბენდელიანის საარჩევნო ოლქი.

ალექსიძე დიმიტრი ალექსანდრეს-ძე — მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარი რეჟისორი, მარჯანიშვილის საარჩევნო ოლქი.

ჯაფარიშვილი გივი დიმიტრის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, 25 თებერვლის საარჩევნო ოლქი.

ბრომბერინი სერგი ივანეს-ძე — თბილისის ქარხანა „მაგნეტოფონის“ ზეინკალი, ნინოშვილის საარჩევნო ოლქი.

ჩიკვაიძე მიხეილ სიმონის-ძე — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს უფროსი, ჩელუსკინელების საარჩევნო ოლქი.

დათაშვილი ალექსანდრე იოსების-ძე — „თბილისგვეთაბმშენის“ სამმართველოს № 213 სპეციალური სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის მემონტაჟე ზეინკალი, ტელმანის საარჩევნო ოლქი.

შეპელიოვა ალა ალექსის ასული — თბილისის სატელეგრაფო აპარატურის ქარხნის ელექტრომონტაჟე, ჭუთაისის საარჩევნო ოლქი.

საბიაშვილი მაყვალა ვლადიმერის ასული — კამვოლ-მაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ მქსოველი, დიდუბის საარჩევნო ოლქი.

გრიგალაშვილი ბარბარე ნიკოლოზის ასული — საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის პირველი მაისის რაიკომის პირველი მდივანი, პირველი მაისის საარჩევნო ოლქი.

გოგირიძე ვიქტორ დავითის-ძე — „თბილისგვეთაბმშენის“ სამმართველოს უფროსი, დიღმის საარჩევნო ოლქი.

ივანოვი პეტრე სტეფანეს-ძე — თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის მუედელი, ოქტომბრის საარჩევნო ოლქი.

კუდრეკო ანატოლი ალექსის-ძე — თბილისის ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშა, მერკვილაძის საარჩევნო ოლქი.

მაჩაბელი ირაკლი ელიზბარის-ძე — თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის მუშა, მარქსის საარჩევნო ოლქი.

აბრამოვა ნათელა ხარიტონის ასული — თბილისის სამოდელო ფეხსაცმლის თაბრიკის მუშა, ტოლსტოის საარჩევნო ოლქი.

დოლენჯაშვილი გულიკო ნიკოლოზის ასული — თბილისის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის ოფსეტური ბეჭდვის საამქროს ამწყობი, პეტრიწუს საარჩევნო ოლქი.

დანელია მელიტონ მიხეილის-ძე — საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივანი, კლარა ცეტკინის საარჩევნო ოლქი.

ციცაგი რუსუდან თევდორეს ასული — თბილისის № 1 სამკერვალო თაბრიკის მკერავი, საბჭოს საარჩევნო ოლქი.

ბოღოშვილი გურამ აკაკის-ძე — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, პისარევის საარჩევნო ოლქი.

რიგვავა სერგო ტარასის-ძე — საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომის პირველი მდივანი, გ. ტაბიძის საარჩევნო ოლქი.

ანდრონიკაშვილი გიორგი ალექსანდრეს-ძე — საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი, კალინინის საარჩევნო ოლქი.

ლაღიძე რევაზ ილიას-ძე — კომპოზიტორი, საქართველოს პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მუსიკის კათედრის გამგე, მთაწმინდის საარჩევნო ოლქი.

ჭურთველი გიორგი ვასილის-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, რუსთაველის საარჩევნო ოლქი.

მჭედლიძე დიმიტრი სიმონის-ძე — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირიჟორი, ჯოგებაშვილის საარჩევნო ოლქი.

პოპიაშვილი თამარ გიორგის ასული — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ლინოტიპისტი, მელიქიშვილის საარჩევნო ოლქი.

სოლომონია ეთერ ბეგლარის ასული — თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მქსოველი, ჯანაშიას საარჩევნო ოლქი.

(გაგრძელება მე-8 გვერდზე).

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VIII ყრილობა

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VIII ყრილობაზე

ბერლინი, 16 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ყრილობის დილის სხდომას თავმჯდომარეობდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ბ. ბრანდენბურგი.

ერთსულოვანი, მქუხარე ტაშით შეხვდნენ დელეგატები და სტუმრები გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ე. ჰონეკერს, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს, მოძმე პარტიათა დელეგაციებს ხელმძღვანელებს.

ყრილობაზე გრძელდებოდა კამათი გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის მოხსენების გამო. დელეგატები კონკრეტულად, საქმიანად განიხილავენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შემდგომი განვითარების გეგმებს პარტიისა და ქვეყნის წინაშე მდგომ მორიგ ამოცანებს.

სიტყვა მიეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს. ყრილობის დელეგატები და სტუმრები ფეხზე წამოდგნენ და მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით მიესალმნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურს. დარბაზი ერთხმად გაიძახოდა: „მეგობრობა!“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!“, „ვაშა“!.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა დიდი ყურადღებით მოისმინეს. მისი გამოსვლის დროს ხშირად გაისმოდა მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. სიტყვის დასკვნით ნაწილს დარბაზი ფეხზე ადგომით, მქუხარე ოვაციით შეხვდა. დარბაზში გრიალებდა „ვაშა!“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!“, „მეგობრობა!“.

— ძვირფასო ამხანაგებო! — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.— დასასრულ ნება მიბოძეთ შევახსენოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სასიამოვნო დავალება და გადაგცეთ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VIII ყრილობას სამახსოვრო საჩუქარი — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის პორტრეტი, შესრულებული სსრ კავშირის სახალხო მხატვრის დიმიტრი ნალბანდიანის მიერ.

დაე ეს საჩუქარი იყოს სიმბოლო ურღვევი ძმური მეგობრობისა, რომელიც აერთიანებს ჩვენს პარტიებსა და საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხებს მარქს-ენგელს-ლენინის დიადი საქმისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის ბრძოლაში!

დელეგატები და სტუმრები ფეხზე წამოდგნენ და დიდი აოფრთოვანებით იმღერეს „ინტერნაციონალი“. დარბაზი ერთხმად გაიძახოდა „მეგობრობა!“, გაისმოდა შეძახილები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პატივისცემად.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა პრეზიდიუმს გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმება გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VIII ყრილობისადმი. კვლავ იქუხა ოვაციამ. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ყველა წევრის სახელით, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით ყრილობის დელეგატები ერთსულოვნად, სულითა და გულით გამოხატავენ თავიანთ ძმურ გრძნობებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი, თავიანთ ურყევ გადაწყვეტილებას განამტკიცონ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ურღვევი ერთიანობა.

ამხანაგებო! ამ დღეებში თქვენ განსაზღვრავთ პარტიის მუშაობის, სახელმწიფოსა და სოციალისტური საზოგადოების განვითარების შემდგომ პერსპექტივებს. ამასთან შესაძლებლობა გაქვთ დამყაროთ გასულ წლებში პარტიის წინა ყრილობების გადაწყვეტილებათა განხორციელების საფუძველზე მიღწეულ მნიშვნელოვან მონაპოვრებს. გაკეთებული ბევრი რამ გაქვთ— პარტიული მშენებლობის დარგშიც, ეკონომიკაშიც, სოციალისტური სახელმწიფოებრიობის განვითარებაშიც.

ჩვენ პირველად როდი ვართ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, და ყოველი ჩამოსვლა თქვენს რესპუბლიკაში ძველ და კარგ მეგობართა შეხვედრაა. კვლავ ხედავ იმას, რაც უკვე წინათ გიხარებდა თვალსა და გულს. და ყოველთვის აღმოაჩენ ახალს, თვალნათლივ გრძნობ თქვენი პარტიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელი ხალხის დიდი მჩქეფარე ცხოვრების მაჯისცემას.

სოციალისტურმა გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დიდი და სახელოვანი გზა გამოიარა. მისი ჩამოყალიბების, წარსულის ძალებთან გამიჯვნის პროცესი ადვილი როდი იყო. სოციალისტური მშენებლობის დროს ყოველ მიჯნას, მართლაც რომ ბრძოლით, რევანშისტთა და იმპერიალისტთა ხრიკების წინააღმდეგ მწვავე ბრძოლით ვიპყრობთ. მაგრამ, დიდი გოეთეი არ იყოს, მხოლოდ ის არის სიცოცხლისა და თავისუფლების ღირსი, ვინც ყოველდღე იბრძვის მათი მიღწევისათვის.

ახალი საზოგადოებრივი წყობილება მტკიცედ და სამარადისოდ დამკვიდრდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მისი უპირატესობანი ძვირფასია მილიონობით გერმანელი შრომელისათვის. ბოლო მოეღო ექსპლოატაციას, ბოლო მოეღო უმუშევრობას, ბოლო მოეღო დამამცირებელ სოციალურ დისკრიმინაციას. ახლა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შრომელებმა თავიანთი ყოველდღიური გამოცდილებით იციან, თუ რა არის თავისუფალი შემოქმედებითი შრომა, თუ რას ნიშნავს ხვალინდელი დღის მტკიცე რწმენა. ეს ახალი წყობილება, რომელშიც ხალხი თავისი ცხოვრების შემოქმედი და ბატონ-პატრონი გახდა, წლითიწლობით მტკიცდება და კვლავაც განმტკიცდება და განვითარდება.

რა თქმა უნდა, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნების ასეთი უდიდესი მასშტაბის პირობებში ყველაფერს წინასწარ როდი გაითვალისწინებ დეტალურად. ყოველთვის როდი აიცილებ თავიდან სიძნელეებს. მით უფრო მეტი პატივი უნდა მივაგოთ მუშათა კლასს, კოოპერაციულ გლეხობას, სახალხო ინტელიგენციას, რომლებიც თქვენი პარტიის ხელმძღვანელობით მთელ მსოფლიოს უჩვენებენ სოციალიზმისა და მშვიდობის გზით მტკიცე სტაბილური განვითარების მაგალითს.

ამხანაგებო! ისე მოხდა, რომ მოძმე სოციალისტური ქვეყნების ბევრი პარტიის ცხოვრებაში უკანასკნელი თვეები უდიდესი მოვლენებით აღინიშნება. იმართება პარტიათა მორიგი ყრილობები. ეს

(დასასრული მე-2 გვერდზე).

პატივცემულო ამხანაგებო!

ძვირფასო მეგობრებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელიც ასრულებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დავალებას, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VIII ყრილობის ყველა მონაწილეს გადასცემს ძმურ კომუნისტურ სალამს! ჩვენ მიგესალმებით აგრეთვე თქვენი პარტიის ყველა წევრს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს.

გერმანელი მეგობრების საქმეებისა და გეგმებისათვის ცხოველი ინტერესითა და სიამაყის გრძნობით ისმენდა ჩვენი დელეგაცია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებას, რომელიც გააკეთა ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ერიხ ჰონეკერმა. თქვენი პარტიის ახლანდელი ყრილობა უეჭველად იქნება დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალისტურ მშენებლობაში.

თავისი საქმიანობის მეოთხედ საუკუნეში გერმანიის ერთიანმა სოციალისტურმა პარტიამ უდიდესი მუშაობა გასწია, რითაც დამსახურებულად შეუძლია იამაყოს. ხელის ჩამორთმევა, რომლითაც გერმანიის მუშათა მოძრაობის გამოჩენილმა მოღვაწეებმა — კომუნისტმა ვილჰელმ პიკმა და სოციალ-დემოკრატმა ოტო გროტეოლმა განამტკიცეს მშრომელთა ორი რაზმის ურღვევი კავშირი, თქვენი პარტიის სიმბოლო გახდა. მისი შექმნა უდიდესი მოვლენა იყო გერმანიის მუშათა მოძრაობის ისტორიაში, გახდა დიდი პოლიტიკური სიბრძნის აქტი. ამ აქტის პრინციპული მნიშვნელობა დაადასტურა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განვითარების მთელმა მსვლელობამ, თქვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის შესანიშნავმა მიღწევებმა.

მეორე მსოფლიო ომის შავბნელ დროშიც კი საბჭოთა ადამიანები არ აიგივებდნენ გერმანიის მშრომელებს ჰიტლერელთა დამნაშავე ხროვასთან. ჩვენ გვწამდა, რომ ფაშიზმისადმი წინააღმდეგობის სულისკვეთება ცოცხლობდა გერმანიის მიწაზეც, რომ არალეგალურ ჯგუფებსა და საპატიმროს ჯურღმულებში ძგერდა მომავალი გერმანიის გული. და ჩვენ არ შევმცდარვარო ამაში! ომის შემდეგ ნაცისტ ავანტიურისტთა მიერ დანგრეულ გერმანიაში, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი მორალურად გახრწნა ფაშიზმმა, ახალი სოციალისტური საზოგადოების აშენების აზრიც კი ბევრს შორეული, ლამის აუხდენელი ოცნება ეგონა. მაგრამ მამაცი რევოლუციონერების — კარლ ლიბკნეხტის, როზა ლუქსემბურგისა და ერნსტ ტელმანის საქმის გამგრძელებელ გერმანელ კომუნისტებს სჯეროდათ გერმანელი ხალხის მოწინავე ძალებისა. თავიანთი რევოლუციური მოვალეობის ერთგულებმა, პროგრესულ სოციალ-დემოკრატებთან კავშირით, მათ გაბედულად აკისრეს პასუხისმგებლობა სამშობლოს ბედისათვის, შეძლეს მშრომელებისათვის შთაეგონებინათ თავიანთი იდეალები, ხალხის მასები დაერაზმათ უკეთესი მომავლისათვის საბრძოლველად. უდიდეს სიძნელეთა პირობებში, პირისპირ იდგნენ რა მძლავრი და გამოცდილი კლასობრივი მოწინააღმდეგის წინაშე, რომელიც ელბის მეორე მხარეს დამკვიდრდა, მათ პირნათლად, ისტორიულად მოკლე ვადაში გადაწყვიტეს უდიდესი მნიშვნელობის ამოცანა — ააშენეს სოციალისტური სახელმწიფო — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

ეს, ამხანაგებო, ნამდვილი გმირობაა. ამ გმირობით გერმანელმა კომუნისტებმა სამართლიანად დაიმახსოვრეს თავიანთი ხალხის, თავიანთი კლასობრივი ძმებისა და მთელი მსოფლიოს რევოლუციური თანამებრძოლების პატივისცემა და აღიარება.

მარქს-ენგელს-ლენინის დიადი მოძღვრების უძლეველი სიმართლით შეიარაღებულმა გერმანიის ერთიანმა სოციალისტურმა პარტიამ წარმატება მოიპოვა უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ შეძლო თავის რიგებში შეეკავშირებინა გერმანიის მუშათა კლასის საუკეთესო შვილები. ეროვნულ ფრონტში ქვეყნის ყველა პროგრესული პარტიისა და ორგანიზაციის გაერთიანების შორსმჭვრეტელური პოლიტიკით თქვენმა პარტიამ შეადულება საზოგადოების მთელი აქტიური ძალები მშვიდობის, დემოკრატიული გარდაქმნების, სოციალიზმის მშენებლობის პლატფორმაზე. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნისტებმა დაიპყრეს ახალგაზრდა თაობის გონება და გული თავიანთი კეთილშობილური იდეებით, თავიანთი დიადი საქმით. და ეს, ამხანაგებო, განსაკუთრებით ძვირფასია. სწორედ ახალგაზრდობამ უნდა განაგრძოს ჩვენი საქმე და მიიყვანოს იგი საბოლოო გამარჯვებამდე.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მაღალი ავტორიტეტი საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში დაკავშირებულია იმასთანაც, რომ პარტიის ხელმძღვანელობის სათავეში იდგნენ და კვლავ დგანან ნაცადი მარქსიზმ-ლენინელები — მუშათა კლასის ერთგული წარმომადგენლები, ფაშიზმის წინააღმდეგ გამოწრთობილი მებრძოლები, სოციალიზმის მებრძოლები. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებისა და ყველა მისი მეგობრის დიდი პატივისცემა მოიხვეჭა ამხანაგმა ვალტერ ულბრიხტმა, რომელმაც მთელი თავისი ენერგია, მთელი თავისი უდიდესი პოლიტიკური გამოცდილება მოახმარა გერმანელ მშრომელთა საქმეს, სოციალიზმის საქმეს. კომუნისტთა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა მშრომელს დიდი პატივისცემით სარგებლობს ჩვენი პატივცემული მეგობარი და ამხანაგი ერიხ ჰონეკერი, მტკიცე ანტიფაშისტი, რესპუბლიკაში პარტიული და სახელმწიფო მშენებლობის გამოჩენილი ორგანიზატორი.

თქვენი პარტიის ერთ-ერთი დამსახურება ის არის, რომ საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნისათვის დიდი და დაძაბული მუშაობის მსვლელობაში მან დააწინაურა, აღზარდა და გამოაწრთო პარტიულ ხელმძღვანელთა შესანიშნავი კადრები, რომლებიც შეიარაღებული არიან მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით, მუშათა კლასის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პოზიციებზე მტკიცედ მდგარი მშრომელი ხალხის უსაზღვროდ ერთგული არიან. ახეთი კადრები ახლა არის პარტიის ყველა რგოლში — ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროდან პირველად პარტიულ ორგანიზაციებამდე.

ამხანაგებო! ამ დღეებში თქვენ განსაზღვრავთ პარტიის მუშაობის, სახელმწიფოსა და სოციალისტური საზოგადოების განვითარების შემდგომ პერსპექტივებს. ამასთან შესაძლებლობა გაქვთ დამყაროთ გასულ წლებში პარტიის წინა ყრილობების გადაწყვეტილებათა განხორციელების საფუძველზე მიღწეულ მნიშვნელოვან მონაპოვრებს. გაკეთებული ბევრი რამ გაქვთ— პარტიული მშენებლობის დარგშიც, ეკონომიკაშიც, სოციალისტური სახელმწიფოებრიობის განვითარებაშიც.

ჩვენ პირველად როდი ვართ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, და ყოველი ჩამოსვლა თქვენს რესპუბლიკაში ძველ და კარგ მეგობართა შეხვედრაა. კვლავ ხედავ იმას, რაც უკვე წინათ გიხარებდა თვალსა და გულს. და ყოველთვის აღმოაჩენ ახალს, თვალნათლივ გრძნობ თქვენი პარტიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელი ხალხის დიდი მჩქეფარე ცხოვრების მაჯისცემას.

სოციალისტურმა გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დიდი და სახელოვანი გზა გამოიარა. მისი ჩამოყალიბების, წარსულის ძალებთან გამიჯვნის პროცესი ადვილი როდი იყო. სოციალისტური მშენებლობის დროს ყოველ მიჯნას, მართლაც რომ ბრძოლით, რევანშისტთა და იმპერიალისტთა ხრიკების წინააღმდეგ მწვავე ბრძოლით ვიპყრობთ. მაგრამ, დიდი გოეთეი არ იყოს, მხოლოდ ის არის სიცოცხლისა და თავისუფლების ღირსი, ვინც ყოველდღე იბრძვის მათი მიღწევისათვის.

ახალი საზოგადოებრივი წყობილება მტკიცედ და სამარადისოდ დამკვიდრდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მისი უპირატესობანი ძვირფასია მილიონობით გერმანელი შრომელისათვის. ბოლო მოეღო ექსპლოატაციას, ბოლო მოეღო უმუშევრობას, ბოლო მოეღო დამამცირებელ სოციალურ დისკრიმინაციას. ახლა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შრომელებმა თავიანთი ყოველდღიური გამოცდილებით იციან, თუ რა არის თავისუფალი შემოქმედებითი შრომა, თუ რას ნიშნავს ხვალინდელი დღის მტკიცე რწმენა. ეს ახალი წყობილება, რომელშიც ხალხი თავისი ცხოვრების შემოქმედი და ბატონ-პატრონი გახდა, წლითიწლობით მტკიცდება და კვლავაც განმტკიცდება და განვითარდება.

რა თქმა უნდა, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნების ასეთი უდიდესი მასშტაბის პირობებში ყველაფერს წინასწარ როდი გაითვალისწინებ დეტალურად. ყოველთვის როდი აიცილებ თავიდან სიძნელეებს. მით უფრო მეტი პატივი უნდა მივაგოთ მუშათა კლასს, კოოპერაციულ გლეხობას, სახალხო ინტელიგენციას, რომლებიც თქვენი პარტიის ხელმძღვანელობით მთელ მსოფლიოს უჩვენებენ სოციალიზმისა და მშვიდობის გზით მტკიცე სტაბილური განვითარების მაგალითს.

ამხანაგებო! ისე მოხდა, რომ მოძმე სოციალისტური ქვეყნების ბევრი პარტიის ცხოვრებაში უკანასკნელი თვეები უდიდესი მოვლენებით აღინიშნება. იმართება პარტიათა მორიგი ყრილობები. ეს

(დასასრული მე-2 გვერდზე).

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის დასასრული

პასუხსაგები და სასიხარულო პერიოდია. პასუხსაგები იმიტომ, რომ თავიანთ უმაღლეს ფორუმებზე კომუნისტები სახავენ თავიანთი ქვეყნების განვითარების გზებს მრავალი წლისათვის, სასიხარულო — იმიტომ, რომ ეს განვითარება განუხრელად მიდის ერთი მიმართულებით: სოციალიზმის ქვეყნების კიდევ უფრო მეტი აყვავების, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომით აღსავსე ადამიანთა ბედნიერი ცხოვრებისათვის სულ უფრო საუკეთესო პირობების შექმნის მიმართულებით.

თავიანთი ყრილობები გაამართეს უნგრეთის, საბჭოთა კავშირის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის კომუნისტებმა. ყოველ ამ ყრილობაზე, ისევე როგორც თქვენს ყრილობაზე, კონკრეტულად, საქმიანად განხილულ შემდგომი განვითარების, მოცემული პარტიისა და ქვეყნის წინაშე დასახული მორიგი ამოცანების გადაჭრის, ჯერ კიდევ აღმოუფხვრელი ნაკლოვანებების ლიკვიდაციის გეგმები. როგორც გეგმები, ისევე ამოცანები, რასაკვირველია, ერთნაირი არ იყო — ამა თუ იმ ქვეყნის ცხოვრების პირობების მიხედვით. მაგრამ, უეჭველია, არის ბევრი საერთო რამ, რაც აერთიანებს მოძმე ქვეყნების კომპარტიათა ყველა ეს-ეს არის გამართულ ყრილობას. ეს საერთო ის არის, რომ ყველა მათგანი მსოფლიოს უჩვენებს ჯანსაღი, სწრაფად მზარდი, დინამიკური სოციალისტური საზოგადოების მკაფიო და დამაჯერებელ სურათს. ისეთი საზოგადოებისა, რომელშიც მილიონობით ადამიანის შეგნებული შრომა კომუნისტური ავანგარდის ხელმძღვანელობით მიზნად ისახავს მთელი ხალხის კეთილდღეობას. ისეთი საზოგადოებისა, სადაც ყოველ ახალ წელიწადს, ყოველ ახალ ხუთწლეულს თან მოაქვს ახალი შესამჩნევი წარმატებანი პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური, მეცნიერული და კულტურული განვითარების დარგში.

სოციალიზმის მსოფლიოს სისტემის, ჩვენი სოციალისტური ცხოვრების წესის ერთ-ერთი დიდი უპირატესობა ის არის, რომ მოძმე ქვეყნების განვითარების მსვლელობაში კომუნისტური პარტიები უურადღებით სწავლობენ ერთმანეთის დადებითს გამოცდილებას. გამოცდილება საბჭოთა კავშირის კომუნისტებისა, რომლებმაც პირველებმა გაკვალეს სოციალისტური განვითარების გზა, სხვა ქვეყნების პრაქტიკა, მათ შორის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრაქტიკაც, სადაც ფართოდ მიმდინარეობს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პრობლემათა დამუშავება, — ყოველივე ეს ერთად შეადგენს სოციალიზმის კოლექტიურ გამოცდილებას, ჩვენს დიდ საერთო საუნჯეს. მის უნარიანად გამოყენებას უდიდესი სარგებლობა მოაქვს ოვითეული მოძმე ქვეყნისათვის. თავიდან გვაცილებს ზოგჯერ სხვათა მიერ უკვე მონახულ გადაწყვეტილებათა ზედმეტად ძიებას და ზოგიერთის მიერ ადრე დაშვებული ხარვეზის ან შეცდომის გამეორებას.

ამჟამად სოციალისტური თანამეგობრობის მთელი რიგი ქვეყნები განვითარების ისეთ ფაზაში შევიდნენ, რომელსაც ამ ქვეყნების კომპარტიები განსაზღვრავენ როგორც მომწიფებული ან განვითარებული სოციალიზმის შენებლობას. ეს ეტაპზე მათ წინაშე ისახება ვრცელი და ერთობ რთული ამოცანები: როგორ შეუთავსონ უფრო უკეთ სოციალისტური წყობილების უპირატესობანი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის უახლეს მიღწევებს; როგორ უზრუნველყონ ამ საფუძველზე მთელი სახალხო მეურნეობის მაღალი ეფექტიანობა და გეგმაზომიერი პროპორციული განვითარება, ხალხის კეთილდღეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება; რა ფორმებით უნდა გაიფართოონ და გაალრმავონ მუშაობა სოციალისტური სულისკვეთებით ადამიანის შეგნების ფორმირებისათვის; რა გზებით იარონ წინ სოციალისტური დემოკრატიის შემოქმედებითი განვითარებისათვის; როგორ აიყვანონ ახალ დონეზე მოძმე სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობა.

დიდი და კეთილშობილური ამოცანებია! თავისი შესანიშნავი პერსპექტივებითა და შესაძლებლობებით წარმტაცი დრო დაუდგათ მოძმე სოციალისტურ ქვეყნებს. მათი შემდგომი განვითარების გზაზე, რასაკვირველია, ჯერ კიდევ ბევრი სირთულეა, მაგრამ მუშაობის უკეთესზე ძნელი ნაწილი უკვე განვლილია, ეს სრული რწმენით შეგვიძლია ვთქვათ.

კომუნისტური მშენებლობის ახალი პასუხსაგები ეტაპი დაიწყო საბჭოთა ქვეყანამ. სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი, რომლებსაც თქვენ კარგად იცნობთ, საბჭოთა ხალხს უსახავენ უმაგალითო ჰორიზონტებს საზოგადოებრივი განვითარების ყველა დარგში. საბჭოთა კავშირის კომუნისტები და ყველა მშრომელი ენთუზიაზმით შეხვდნენ ყრილობის გადაწყვეტილებებს და კომუნისტურად, დამკვრელურად მოჰკიდეს ხელი მათს განხორციელებას. ჩვენს დიდ კმაყოფილებას იწვევს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის შედეგებმა ფართო დადებითი გამოხმაურება ჰპოვა სხვა ქვეყნებშიც. ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა გადმოგცეთ თქვენ, ძვირფასო გერმანელო ამხანაგებო, რომ საბჭოთა კომუნისტები დიდად აფასებენ იმ ყურადღებას, რომლითაც აღიქვა თქვენმა პარტიამ სკკპ XXIV ყრილობის მასალები. დიდ მადლობას ვუხდით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნისტებსა და ყველა მშრომელს, რომლებმაც გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ჩვენი XXIV ყრილობის აღსანიშნავად. საბჭოთა ადამიანებს ყოველივე ეს მიაჩნიათ ჭეშმარიტად ძმური მეგობრობისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის გამოვლინებად.

როდესაც დიდ კონტრასტს წარმოადგენს გულდაჯერებით წინ მიმავალ სოციალიზმის ქვეყნებთან, მათს ისტორიულ ოპტიმიზმთან შედარებით კაპიტალისტური სამყაროს დღევანდელი მდგომარეობა! სულ უფრო ძლიერდება, სულ უფრო მწვავდება კაპიტალისტური სისტემის საყოველთაო კრიზისი. იმპერიალისტური პოლიტიკის მძიმე კრიზისი, ეკონომიკის მუდმივი ციებ-ცხელება, მომავლის რწმენის უქონლობა, მორალის ღრმა კრიზისი — აი თანამედროვე კაპიტალიზმის სურათი. და არ არის ისეთი რეფორმატორი, არ არის ისეთი მკურნალი, რომელსაც შეეძლოს განკურნოს ეს ორგანული მანკიერებანი და სნეულებანი.

ამას წინათ მსოფლიო მოწმე გახდა კაპიტალიზმის სავალუტო-საფინანსო სისტემის მორიგი კრიზისისა. კვლავ დაიწყო მერყეობა ამერიკულმა დოლარმა — კაპიტალისტური საზოგადოების ამ ღმერთმა, უფრო სწორად კი, ყვითელმა ეშმაკმა, — რომელმაც უკვე დაკარგა თავისი წინანდელი ბრწყინვალება. და ეს შემთხვევითი, იზოლირებული მოვლენა როდია. იგი ასახავს კაპიტალიზმის საერთო შინაგან მერყეობას. იგი განეკუთვნება იმავე რიგის მოვლენებს, როგორიც არის მწვავე კლასობრივი ბრძოლები, სოციალური, ეროვნული და რასობრივი კონფლიქტები, რომლებიც აშანზარებენ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს, მასობრივი ომის საწინააღმდეგო გამოსვლები უდიდეს ბურჟუაზიულ ქვეყანაში — ამერიკის შეერთებულ შტატებში.

კაპიტალიზმს აშკარად სულ უფრო მეტად ეცლება ნიადაგი საკუთარ სახლში. იგი კარგავს დასაყრდენს ყოფილი კოლონიური სამყაროს ქვეყნებშიც, რომლებიც სულ უფრო მტკიცედ ადგებიან საკუთარ გზას — დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესის გზას, სოციალისტურ სახელმწიფოებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის გზას. ასეთ ვითარებაში იმპერიალისტური სამყაროს ზოგი მესვეური კარგავს მდგომარეობის საღად შეფასების უნარს და მიმართავს სამხედრო-ავანტიურებს, აგრესიას. ამის მაგალითია იმპერიალისტთა აგრესიული ომები ინდოჩინეთისა და არაბული ქვეყნების ხალხთა წინააღმდეგ.

ასეთ პირობებში განსაკუთრებით პასუხსაგებია სოციალიზმის ქვეყნების როლი ხალხთა მშვიდობის, თავისუფლებისა და სოციალურ მონაპოვართა დაცვის საქმეში. მსოფლიოს ხალხებმა იციან, რომ შეუძლიათ დაიურწნონ სოციალისტურ სახელმწიფოებს, რომლებიც თანმიმდევრულად ადგანან ლენინურ კურსს თავიანთ საგარეო პოლიტიკაში. და რაც უფრო შეკავშირებულად გამოდიან ჩვენი სახელმწიფოები, მით უფრო შეთანხმებულია მათი მოქმედება მსოფლიო ასპარეზზე, მით უფრო მკვიდრია საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების საფუძვლები, მით უფრო მტკიცეა ხალხთა წინსვლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გზაზე.

სოციალიზმის ქვეყნებისა და იმ ახალგაზრდა პროგრესული სახელმწიფოების დიადი კავშირი, რომლებმაც კოლონიური ჩაგვრის ბორკილი მოიშორეს, ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია. ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია ყველაფერი ვიღონოთ ამ კავშირის განსამტკიცებლად. ამ თვალსაზრისით დიდი მოვლენა იყო საბჭოთა კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის ამას წინათ დადებული მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება — დოკუმენტი, რომელსაც კმაყოფილებით მიესალმნენ მთელი პროგრესული და მშვიდობისმოყვარე ძალები.

ჩვენ, კომუნისტები, აგრესიისა და აგრესორების მტკიცე და უდრეკი მოწინააღმდეგენი ვართ. ამავე დროს ჩვენ ასევე მტკიცე და თანმიმდევრული მომხრენი ვართ სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისა მათი სოციალური წყობილების განსხვავების მიუხედავად. ყველას, ვისაც სურს პატიოსნად ითანამშრომლოს ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთსარგებლობის საწყისებზე, ჩვენ მთელი გულწრფელობით ვუწვდით ხელს და მზად ვართ ასეთი თანამშრომლობისათვის.

ამხანაგებო! თქვენი პარტია, თქვენი რესპუბლიკა წარმატებით წყვეტენ დიდ და რთულ საგარეო-პოლიტიკურ ამოცანებს. ალბათ, სოციალისტური თანამეგობრობის არც ერთ სხვა სახელმწიფოს არ გადაულახავს იმდენი დაბრკოლება საერთაშორისო ცნობის გზაზე, რამდენიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას. კაპიტალისტური სამყაროო ცდილობდა მსოფლიო მასშტაბით მოეწყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ-დიპლომატიური ბლოკადა. არ გაუვიდათ. ახლა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას დიპლომატიური ურთიერთობა აქვს მსოფლიოს ყველა ნაწილის 29 სახელმწიფოსთან.

საერთაშორისო ურთიერთობის სულ სხვადასხვა ზფეროში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ცხადყოფს თავის დიდ როლს, თავის მზარდ შესაძლებლობებს. განუხრელად ვითარდება კონტაქტები საპარლამენტო და საზოგადოებრივი ხაზებით. ახლა უკვე ყველამ იცის, რომ სრულიად ევროპის თათბირის მოწვევა წარმოუდგენელია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თანასწორუფლებიანი მონაწილეობის გარეშე. ყოველწლიურად იზრდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო-სავაჭრო და ეკონომიური ურთიერთობა, რომელიც უკვე ახლა მსოფლიოს ასზე მეტ ქვეყანას მოიცავს. ლაიფციგის ბაზრობა ერთ-ერთი ყველაზე დიდი და პოპულარული გახდა მსოფლიოში. თქვენთან ერთად გვიხარია, როცა საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებზე საპატიო კვარცხლბეკზე ადიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები, ეს ის სულ უფრო ხშირად ხდება.

თქვენი რესპუბლიკის საერთაშორისო ავტორიტეტისა და გავლენის განმტკიცებაა ყოველივე იმის შედეგია, რაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა გააკეთეს სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. სავსებით საფუძვლიანად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს სოციალისტური ქვეყნების მრავალი წლის ერთობლივი ბრძოლის შედეგია. მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის დასაცავად ჩვენი შეკავშირების შედეგია.

წარსულში ბერლინი ცნობილი იყო როგორც დედაქალაქი, საიდანაც არ მოდიოდა კარგი, მშვიდობის საკეთილდღეო ცნობები. ეს იყო გერმანელ მილიტარისტთა და ზარბაზნების მეფეთა ბუდე. მაგრამ, როცა გერმანიის სოციალისტური სახელმწიფოს დედაქალაქი გახდა, მან სავსებით შეიცვალა რეპუტაციაა. ამიერიდან ბერლინიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქიდან, ისმის ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის ხმა. ეს ცვლილება იმ ისტორიული შემობრუნების განსახიერებაა, რომელიც გამოწვეულია მშვიდობისმოყვარე სოციალისტური სახელმწიფოს შექმნით გერმანიის მიწაწყალზე.

დღეს, საბჭოთა კავშირზე მიტლერული გერმანიის თავდასხმის 30 წლისთავის წინ, ადამიანთა ფიქრები უნებლიედ დასტრიალებს თავს ამ მოვლენას, მეორე მსოფლიო ომის გაკვეთილებს. ვერც საბჭოთა ადამიანები, ვერც გერმანელები, ვერც სხვა ხალხები ვერ დავიწყებენ იმას, თუ რად დაუჯდათ მათ ეს ომი. დაიღუპა ათეულ მილიონობით ადამიანი. და თუმცა, ომისშემდგომ პერიოდში გაიზარდა ახალი თაობა, ომის იარები, მისი მძიმე მემკვიდრეობა იგრძნობა პოლიტიკაშიც, ეკონომიკაშიც. ადამიანთა ფსიქოლოგიაშიც. ახლა, როცა უკვე მეოთხედ საუკუნეზე მეტი გავიდა ომის დამთავრების შემდეგ, ევროპის ხალხთა წინაშე დგას ერთი მთავარი ამოცანა: არ დაუშვან წარსულის ტრაგედიის განმეორება, დაამყარონ ნამდვილად მტკიცე მშვიდობა, მშვიდობა ხანგრძლივი დროისათვის.

ყველა ჩვენგანი კმაყოფილია, რომ უკანასკნელ ხანს ევროპის ვითარებაში ხდება ზოგიერთი დადებითი ძვრა. ჩვენ ჯეროვნად ვაფასებთ კაპიტალისტური ქვეყნების იმ მთავრობებს, რომლებიც ეხმაურებიან ჩვენს მისწრაფებას, რომ ევროპის საქმეებში ვიაროთ დაძაბულობის შინელების, მშვიდობიანი თანამშრომლობისა და კონტინენტის უშიშროების განმტკიცების გზით. ამასთან დაკავშირებით მინდა შევეხო სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იმ ხელშეკრულების მნიშვნელობას, რომელიც მარშან 12 აგვისტოს დაიდო.

დასავლეთში ზოგან ამტკიცებენ, თითქოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ამ ხელშეკრულებით რაღაცას „უთმობდაო“ საბჭოთა კავშირს მაგრამ ეფიქრობთ, რომ 12 აგვისტოს ხელშეკრულებით ჩვენს ვალდებულებებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის სრულიადაც არ უნდა ჰქონდეს, თუ მეტი არა, ნაკლები მნიშვნელობა, ვიდრე მის ანალოგიურ ვალდებულებებს საბჭოთა კავშირისათვის. ეს შეეხება ძალის გამოუყენებლობის საკითხსაც და საზღვრების ურღვევობის დაცვასაც, იმასაც, რომ ურთიერთობაში ვხელმძღვანელობდეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესიდების დებულებებით. საქმე, მაშასადამე, რაღაც ცალმხრივი დათმობანი კი არ არის, — არც ერთი მხარე არაფერს არ თმობს, — არამედ ხელშეკრულების პოლიტიკური არსი და საერთო მიმართულებაა.

დასავლეთ გერმანიის იმ მოღვაწეებს კი, რომლებიც პოლიტიკურ სპეკულაციების მიმართავენ საბჭოთა კავშირთან დადებული ხელშეკრულების გამო, გვინდა ვუთხრათ ერთი რამ: სსრ კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა მოძმე ქვეყნების საზღვრების ურღვევობა უზრუნველყოფილია ალიანსი ხელშეკრულება არ იყოს; ამას უზრუნველყოფს ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა გაერთიანებული ძალიერება.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან დადებულ ხელშეკრულებას, ძალაში შესვლის შემდეგ, შეუძლია დაიწყოს და კიდეც აქვს უნდა დაიწყოს ახალი ფურცელი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში, გასაქანი მისცეს [illegible] ეკონომიკისა და სხვა დარგებში. მაგრამ საქმე მარტო ეს როდია. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ხელშეკრულებების ძალაში შესვლა ბევრი მრავ ახალ პოლიტიკურ ატმოსფეროს შექმნის ევროპაში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ევროპის სოციალისტურ ქვეყნებთან დასავლეთ გერმანიის ნორმალური ურთიერთობის მოწესრიგების, საერთოდ აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ნაყოფიერი თანამშრომლობის განვითარების, ევროპის უშიშროების ოიმენშენილოგანი პრობლემების გადაჭრის წანამძღვრებს.

ვითარება ისეთია, რომ ახლა დასავლეთში გამოჩნდნენ რეალისტურად მოაზროვნე წრეები, რომლებიც იღწვიან ევროპის მშვიდობის განმტკიცებისათვის. ამავე დროს ამ წრეების საქმიანობას სულ უფრო გააფორმებთ უტევს გარკვეული ბანაკი. მშვიდობისმოყვარე ხალხები ხედავენ ამ [illegible] და არ შეუძლიათ დასკვნა არ გამოიტანონ აქედან.

რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა თქვენი დედაქალაქის უშუალო მეზობელზე — დასავლეთ ბერლინზე. [illegible] ალბათ, რომ საბჭოთა კავშირისა და [illegible] ერთობლივი, შეთანხმებული მოქმედების მიზანია, რომ დასავლეთი ბერლინი აღარ იყოს დაძაბულობისა და კრიზისის სტატუციების დეტონატორი და უზრუნველყოფილი იყოს ამ ქალაქისა და მისი მოსახლეობის ცხოვრების ნორმალური პირობები, ამასთან, რა თქმა უნდა, სათანადოდ უნდა გავითვალისწინოთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კანონიერი ინტერესები და სუვერენული უფლებები. მიგვაჩნია, რომ მოლაპარაკებამ, რომელიც ახლა მიმდინარეობს დასავლეთ ბერლინის თაობაზე, უპირველეს ყოვლისა გაარკვია დაინტერესებული მხარეების პოზიციები. ამიტომ კანონზომიერია, რომ ახლა იწყება მოლაპარაკების ახალი სტადია — შესაძლო შეთანხმების შინაარსის შესახებ კონკრეტულ წინადადებათა განხილვა. არ ვიცი რას ფიქრობენ ჩვენი პარტნიორები ამ მოლაპარაკებაში, ჩვენ კი ჩვენი მხრივ მზად ვართ ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა ეს საქმე წარმატებით დამთავრდეს, მიღწეული შეთანხმება ეფექტიანი იყოს და განხორციელდეს.

მე შევეხე, ამხანაგებო, საერთაშორისო ცხოვრების ზოგიერთ საკითხს, რომლებიც განსაკუთრებით აქრუალურია ევროპის მშვიდობის განმტკიცებისათვის საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ღონისძიებათა თვალსაზრისით. სკკპ XXIV ყრილობამ ჩამოაყალიბა მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მწყობრი პროგრამა. იგი განსაზღვრავს საბჭოთა კავშირის საგარეოპოლიტიკური საქმიანობის მთავარ ამოცანებსა და მიმართულებებს თანამეგობრობის. ეს პროგრამა ითვალისწინებს სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოთა საერთო ინტერესებს. ჩვენ მადლობას ვუძღვნით გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ამ პროგრამის აქტიური მხარდაჭერისათვის. ეს ერთხელ კიდევ მკაფიოდ აფასებენ ჩვენი საგარეოპოლიტიკური მიზნების ერთიანობას. ჩვენი ნამდვილად სოციალისტური სოლიდარობისა და მეგობრობის ურთიერთობის, სამოკავშირეო ურთიერთობის საწმინდისა და გულწრფელობას.

სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხებს შორის მტკიცე მეგობრობა ჩვენი პარტიების დიადი მონაპოვარია, ჩვენი ქვეყნების კომუნისტთა მრავალი წლის მზანდასახული ღონისძიებათა შედეგია. მეგობრობა სული და გულია ჩვენი კავშირისა, რომელიც შეიქმნა მშვიდობისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის ერთობლივ ბრძოლაში.

ამხანაგებო ჩვენი პარტიები და მთავრობები ცხოვრობენ მთელი სოციალისტური თანამეგობრობის საზრუნავითა და ინტერესებით, განუხრელად ათანხმებენ თავიანთ საგარეო პოლიტიკურ საქმიანობას და ამაში საქმით ვლინდება მათი პოლიტიკის ღრმა ინტერნაციონალისტური სულისკვეთება.

ახლა მოძმე პარტიები მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ იმისათვის, რომ უფრო თართოდ გაშალონ სოციალისტურ სახელმწიფოთა ეკონომიური ინტეგრაციის პროცესი. ეს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის საქმე, მსოფლიო სოციალიზმის განვითარების ერთ-ერთი ცენტრალური რგოლია. დარწმუნებული ვართ, რომ მოძმე ქვეყნები მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძველზე შემოქმედებითად განავითარებენ და სრულყოფენ მეურნეობის გაძღოლისა და თანამშრომლობის მეთოდებს და წარმატებით წასწევენ წინ სოციალისტური ინტეგრაციის საქმეს. დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა დიდმნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტაში.

ძვირფასო მეგობრებო! ნება მიბოძეთ სულითა და გულით გისურვოთ თქვენ და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა მშრომელს, ახალი წარმატებანი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში, გისურვოთ ბედნიერება და აყვავება.

გაუმარჯოს გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას, გერმანელ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს წამყვან ძალას!

დაე ჰყვაოდეს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა ოიფენური მეგობრობა! დაე მტკიცდებოდეს მათი ყოველმხრივი თანამშრომლობა, მათი ძმური კავშირი!

გაუმარჯოს მოძმე სოციალისტური ქვეყნების მზარდ თანამეგობრობას — კაცობრიობის ავანგარდს მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმის პროგრესისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს კომუნიზმს!

(ამხანაგ ლ. ი ბრეჟნევის სიტყვა მოსმენილ იქნა დიდი უურადღებით. სიტყვის დროს ხშირად გაისმოდა მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

ამხანაგ ე. ჰონეკერის მოხსენება

ᲓᲐᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲐ რა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VII ყრილობის შემდეგ განვლილი პერიოდი, ე. ჰონეკერმა თქვა, რომ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია თავის VIII ყრილობას შეეგება კარგი შედეგებით გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. სსრ კავშირთან ძმური კავშირურთიერთობით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც სოციალისტურ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მტკიცე, ურყვნი რგოლია, მყარ სტაბილურ სახელმწიფოდ ვითარდებოდა. ხალხის ცხოვრება დღეითიდან უმჯობესდებოდა. ამის წინამძღვრები შექმნეს რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში მოპოვებულმა მნიშვნელოვანმა მიღწევებმა. შრომის ნაყოფიერების გადიდების შედეგად განუწყვეტლივ იზრდებოდა ეროვნული შემოსავალი.

შეეხო რა საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის საკითხებს, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა თქვა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო პოზიციები უკანასკნელ წლებში არსებითად განმტკიცდა და გაფართოვდა. რესპუბლიკას კონსტრუქციული წვლილი შეაქვს ევროპის კონტინენტზე მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში. მშვიდობის აქტიური პოლიტიკა მთლიანად და სავსებით შეესაბამება სოციალისტური სახელმწიფოს არსს.

ცენტრალური კომიტეტი, თქვა მან, დღენიადაგ ზრუნავს იმისათვის, რომ გერმანიის ერთიანმა სოციალისტურმა პარტიამ, როგორც ხელმძღვანელმა ძალამ, შეასრულოს თავისი ამოცანა ლენინური სულისკვეთებითა და ლენინური სტილით. ჩვენ ყოველთვის ვემყარებოდით, ვემყარებით და ვაპირებთ დავემყარებით ურყევ პრინციპს, რომ საზოგადოებრივი პროცესების პოლიტიკური ხელმძღვანელობა სოციალიზმის დროს შეუძლია მხოლოდ ამ პარტიას, რომელიც შეიარაღებულია მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით, რომელიც ახორციელებს თანმიმდევრულ პოლიტიკას და მჭიდროდ არის დაკავშირებული მშრომელ ხალხთან.

შემდეგ ე. ჰონეკერი შეეხო გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის საერთაშორისო მოვლენებისა და საგარეო-პოლიტიკური ხაზის განვითარების ძირითად ტენდენციებს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, თქვა მან, აშენებს სოციალიზმს ისტორიული განვითარების პროცესების სრული შესაბამისობით, რომლებიც ახასიათებენ ჩვენს ეპოქას. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა სოციალისტურ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მტკიცე, განუყოფელი შემადგენელი ნაწილია. იგი მტკიცედ მიჰყვრობოს ურთიერთობები ერის. ამ ნიშანდობლივ ფაქტთან — სახელოვან საბჭოთა კავშირთან. ეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუშათა კლასისა და ყველა მოქალაქის საარსებო ინტერესების უზრუნველყოფის ძირითადი წანამძღვარია.

დაახასიათა რა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობა სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან, ე. ჰონეკერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა კიდევ უფრო განმტკიცდეს თანამშრომლობა მთელი სოციალისტური სამყაროსა და ყოველი ცალკეული ქვეყნის საკეთილდღეოდ. სწორედ ეს, თქვა მან, არის ერთ-ერთი ძირითადი წანამძღვარი, რათა შეასრულოთ ჩვენი დიადი საერთო მიზნები: განუწყვეტლივ ავამაღლოთ ხალხის ცხოვრების დონე, ამასთანავე გავადიდოთ სოციალიზმის გავლენა იმპერიალიზმის წინააღმდეგ კლასობრივ ბრძოლაში.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს როლს ეკონომიური თანამშრომლობის განმტკიცებაში, ილაპარაკა ვარშავის ხელშეკრულების მნიშვნელობაზე.

მოხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი ე. ჰონეკერმა მიუძღვნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის. თქვენთან ერთად გვიხარია, როცა საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებზე საპატიო კვარცხლბეკზე ადიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები, ეს ის სულ უფრო ხშირად ხდება.

თქვენი რესპუბლიკის საერთაშორისო ავტორიტეტისა და გავლენის განმტკიცებაა ყოველივე იმის შედეგია, რაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა გააკეთეს სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. სავსებით საფუძვლიანად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს სოციალისტური ქვეყნების მრავალი წლის ერთობლივი ბრძოლის შედეგია. მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის დასაცავად ჩვენი შეკავშირების შედეგია.

წარსულში ბერლინი ცნობილი იყო როგორც დედაქალაქი, საიდანაც არ მოდიოდა კარგი, მშვიდობის საკეთილდღეო ცნობები. ეს იყო გერმანელ მილიტარისტთა და ზარბაზნების მეფეთა ბუდე. მაგრამ, როცა გერმანიის სოციალისტური სახელმწიფოს დედაქალაქი გახდა, მან სავსებით შეიცვალა რეპუტაციაა. ამიერიდან ბერლინიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქიდან, ისმის ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის ხმა. ეს ცვლილება იმ ისტორიული შემობრუნების განსახიერებაა, რომელიც გამოწვეულია მშვიდობისმოყვარე სოციალისტური სახელმწიფოს შექმნით გერმანიის მიწაწყალზე.

დღეს, საბჭოთა კავშირზე მიტლერული გერმანიის თავდასხმის 30 წლისთავის წინ, ადამიანთა ფიქრები უნებლიედ დასტრიალებს თავს ამ მოვლენას, მეორე მსოფლიო ომის გაკვეთილებს. ვერც საბჭოთა ადამიანები, ვერც გერმანელები, ვერც სხვა ხალხები ვერ დავიწყებენ იმას, თუ რად დაუჯდათ მათ ეს ომი. დაიღუპა ათეულ მილიონობით ადამიანი. და თუმცა, ომისშემდგომ პერიოდში გაიზარდა ახალი თაობა, ომის იარები, მისი მძიმე მემკვიდრეობა იგრძნობა პოლიტიკაშიც, ეკონომიკაშიც. ადამიანთა ფსიქოლოგიაშიც. ახლა, როცა უკვე მეოთხედ საუკუნეზე მეტი გავიდა ომის დამთავრების შემდეგ, ევროპის ხალხთა წინაშე დგას ერთი მთავარი ამოცანა: არ დაუშვან წარსულის ტრაგედიის განმეორება, დაამყარონ ნამდვილად მტკიცე მშვიდობა, მშვიდობა ხანგრძლივი დროისათვის.

ყველა ჩვენგანი კმაყოფილია, რომ უკანასკნელ ხანს ევროპის ვითარებაში ხდება ზოგიერთი დადებითი ძვრა. ჩვენ ჯეროვნად ვაფასებთ კაპიტალისტური ქვეყნების იმ თავრობებს, რომლებიც ეხმაურებიან ჩვენს მისწრაფებას, რომ ევროპის საქმეებში ვიაროთ დაძაბულობის შინელების, მშვიდობიანი თანამშრომლობისა და კონტინენტის უშიშროების განმტკიცების გზით. ამასთან დაკავშირებით მინდა შევეხო სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იმ ხელშეკრულების მნიშვნელობას, რომელიც მარშან 12 აგვისტოს დაიდო.

დასავლეთში ზოგან ამტკიცებენ, თითქოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ამ ხელშეკრულებით რაღაცას „უთმობდაო“ საბჭოთა კავშირს მაგრამ ეფიქრობთ, რომ 12 აგვისტოს ხელშეკრულებით ჩვენს ვალდებულებებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის სრულიადაც არ უნდა ჰქონდეს, თუ მეტი არა, ნაკლები მნიშვნელობა, ვიდრე მის ანალოგიურ ვალდებულებებს საბჭოთა კავშირისათვის. ეს შეეხება ძალის გამოუყენებლობის საკითხსაც და საზღვრების ურღვევობის დაცვასაც, იმასაც, რომ ურთიერთობაში ვხელმძღვანელობდეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესიდების დებულებებით. საქმე, მაშასადამე, რაღაც ცალმხრივი დათმობანი კი არ არის, — არც ერთი მხარე არაფერს არ თმ

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა სია

(გაგრძელება)

სირაძე ვიქტორია მოსეს ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სამრეწველო საარჩევნო ოლქი.

წულაია გიული გალაქტიონის-ძე — თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“ დირიგენტი, 300 არაგველის საარჩევნო ოლქი.

ჩხაიძე ეთერ კაჯიოს ასული — თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკის მკერავი კიროვის საარჩევნო ოლქი.

ცერეცა ტასოს ფილიპეს ასული — თბილისის „საქტრიკოტაჟის“ ფაბრიკის მუშა, ლენინის საარჩევნო ოლქი.

კუზნეცოვა ირინე აბრამის ასული — თბილისის წინდის ფაბრიკის „კრწანისის“ მუშა, პუშკინის საარჩევნო ოლქი.

ბარსუკოვი ბორის ზაქარიას-ძე — საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პირველი მდივანი, ბარათაშვილის საარჩევნო ოლქი.

